

# სპორტიელი



სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 24 აპრილი 2008 №092 (3316)

ფასი 50 თეთრი

## ივანეკოვიჩი და ვიქსი სორვატი მთხროვნელებს: ჯერ საქართველო



საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე ბრანკო ივანეკოვიჩის ჯანდიდატურას გულმოდგინედ რომ განიხილავს, ამაზე ჩვენც ხომ რა ხანია ვწერთ და ახლა ხორვატმა კოლეგებმაც აგვიბეს მხარი.

ივანეკოვიჩის ქართულ პერსპექტივაზე იქაც დაინერა და თარიღიც ითქვა - ხორვატი საქართველოში 29 აპრილს ჩავა მოლტაპარაქების გასაგრძელებლად.

ამასობაში კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას გენერალურ-რმა მდივანმა უჩა უგულავამ გვითხრა, ჯანდიდატა სიაში 4 მწვრთნელია გვყავსო. უგულავა არ აკონკრეტებს მათ ვინაობას, მაგრამ ერთი სწორედ ივანეკოვიჩია, ერთიც, შესაძლოა, მორტენ ოლსენი იყოს.

ოლსენზე ეჭვი იმიტომ გვაქვს, რომ გუმინნი გაცხადდა, დანის ნაკრებთან კონტრაქტს აღარ გააგრძელებსო, ხოლო უგულავამ ის გაამყვანა, ამ ოთხი მწვრთნელიდან ერთს მალე უმთავრდება კონტრაქტიო.



## აკირაემის სამი გოლი და დინამოს სამი ნაბიჯი ჩემპიონობაზე

შაბათს ეროვნულ სტადიონზე ქართველ მორაგბეთა ნაკრებს ევროპის ერთა თასს ჩააბარებენ და ამიტომაც იმ დღეს გასამართი „დინამო“ — „მესხეთი“ გუშინ ჩატარდა. ჩატარდა და, 5:1 მოგებით, დინამოელები კიდევ უფრო მიუახლოვდნენ ჩემპიონის ტიტულს, 2005 წლის მერე რომ აღარ მოუპოვებიათ.

„ზესტაფონი“, „ლოკომოტივი“ და „დილა“ — აი, ეს გუნდები

დარჩა „დინამოს“ მეტოქეებად და ამათგან ორს რომ მოუგოს, ჩემპიონობაში ველარავინ შეეცილება.

ტურის დანარჩენი მატჩები კი განრიგით, ხვალ და ზევ გაიმართება. მათგან ყველაზე საინტერესოდ კი „სპარტაკი“ — „ზესტაფონი“ მოჩანს. ცხინვალელებისთვის ხომ ფავორიტებს უჭირთ გოლის გატანა.



გუშინ თბილისში: გეორგი და საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ახვლედიანი ქართულ სუფრაზე პირველად დაილოცნენ

## WELCOME გეორგი-ბია თბილისში

გუშინ გვიან ღამით, რენატო და ჟორჯი, იგივე გეორ და გია, თბილისში ჩამოფრდნენ. პლაჟის ფრენბურთში ქართულასპორტიანი ბრაზილიელები უკვე ორი წელია, რაც თამაშობენ. ამასთან, მათ უკვე გაიანდღეს პეკინის ოლიმპიადის საგზური, რაც პირველი შემთხვევაა, როდესაც სათამაშო სახეობებში ოლიმპიადაზე საქართველოს თავისი გუნდი ეყოლება.

ეთქვით, გეორ და გია ქართულასპორტიანი ბრაზილიელები არიან, თუმცა სულით და გულით, ისინი მართლაც რომ ქართველობენ — საქართველოს პიში ხომ ზეპირად იცან, გუშინ კი ქართული კერძებით და ღვინით აღფრთოვანებულნი დარჩნენ.

„ჩვენ ოლიმპიადაზე საქართველოს მედალს მოუტანთ. ულამაზესი ქვეყანა და უთბილესი ხალხი ხართ. თქვენი იმედი რომ გავამართლოთ, პეკინიდან უმედლოდ არ უნდა დავბრუნდეთ“ — გვითხრეს გუშინ გეორმა და გამამ, ვისაც დამღლევი მგზავრობის შემდეგ აეროპორტში გავესაუბრეთ.

ერთიც: ეს გეორ-გიას პირველი ქართული სტუმრობაა და „სარბიელისთვის“ ექსკლუზიური ამბავი.

## ურუგვაიმ ქართველებს ელიტა ორი წლით გადაუდო

ურუგვაი 20:16 საბართხელი

საბართხელი (15-1): ჯოგლიძე ტუჩაშვილი, ინაშვილი, ნუცუბიძე, კიკვიძე, ხმალაძე (კორკელია 72), როსიძე (ქინჭარაული 54), კოლედიშვილი, კობაური (კაპ), მინარიშვილი, იორდანიშვილი (ნიკოლაიშვილი 53), ჩიჩუა, ჯამბიტაშვილი (თორაძე 46), სხულუხია, მირცხულავა (კბკოვინი 49)

სათადარიგონი: რევიშვილი, კავთიძე

წ: ჯოგლიძე; შს: ჯოგლიძე; მ: ჯოგლიძე


სინბინი: კოლედიშვილი (22), სხულუხია (77)

მსაჯი: სალვადორ ენსინასი (ჩილე)

ჩილეში მიმდინარე 20-წლამდელთა მსოფლიოს თასის B ჯგუფის ლამის ნახევარფინალში საქართველოს ნაკრებმა 16:20 წააგო ურუგვაისთან და გაისად მსოფლიოს თასის ელიტარულ დივიზიონში ვერ ირავებეს. შეგახსენებთ, რომ ჩვენებს ჯგუფში პირველი ადგილის დაკავება სჭირდებოდათ B დივიზიონის ფინალში გასასვლელად. სწორედ B დივიზიონის გამარჯვებული ითამაშებს გაისად ელიტარულ მსოფლიოს თასზე, რომლის გამარჯვებულსაც გამოცხადდება კიდევ მსოფლიო თასის მფლობელად. სამწუხაროდ, ქართველებს ჯგუფში პირველობისთვის და პლეი ოფში გასასვლელად ძალები აღარ ეყოთ.



გოდერძი ჯოგლიძის ქულები ჩვენებს საელიტოდ არ ეყოთ



# ივანკოვიჩი საქმეს თბილისით იწყებს 29 აპრილი სალაპარაკო დღეა

„ბრანკო ივანკოვიჩმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა, როგორც პიროვნებამ. კარგი მოსაუბრეა, მის მიმართ სიმპატიებით განეწყობი“ — გვიტხრა ნოდარ ახალკაცმა ლუბლიანაში ხორვატ სპეციალისტთან შეხვედრის შემდეგ და, რაც მთავარია, დაამატა, ივანკოვიჩი საქართველოს ნაკრების მწვრთნელობისთვის მშვენიერი ვარიანტი იყო.

კეთილი ქართული მხარის სურვილი გასაგებია, ახლა უფრო მთავარია, რა შთაბეჭდილებით წავა 54 წლის სპეციალისტი 30 აპრილს საქართველოდან. დიახ, 29-ში ივანკოვიჩი საქართველოში ჩამოვა და მეორე დღეს დაბრუნდება სამშობლოში.

უკვე ცნობილია: ის საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის უმთავრესი კანდიდატია და ვინძლო, ხორვატის ვიზიტმა კონტრაქტის გაფორმება მოაწიფოს.

ერთ-ერთ ხორვატულ სპორტულ გაზეთთან ინტერვიუში ივანკოვიჩის საქართველოსადმი დიდი დაინტერესება აშკარად ჩანს. სტატისტიკა ასეთი სათაური აქვს — „ივანკოვიჩის ქართული პერსპექტივა“.

„დიახ, მე ლუბლიანაში შეხვედრი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, ბევრი ვისაუბრეთ და მან დამიხატა სურათი თავისი ქვეყნის ნაკრებზე. ბევრი ინფორმაცია შევიტყვე პეტარ სეგრეტისგან, რომელიც საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებს წვრთნის და ამავდროულად, ფედერაციის ტექნიკურ დირექტორატში მუშაობს. სეგრეტი ჩემი მეგობარია, ის ხორვატია, თუმცა წლების განმავლობაში გერმანიაში ცხოვრობდა. მან მითხრა, საქართველოში ნიჭიერი ფეხბურთელები არიან, სამუშაოდ კარგი ატმოსფეროა და ენაზე...“

ივანკოვიჩმა ისიც თქვა, რამდენიმე კლუბისგან მაქვს წინადადება, მაგრამ მათ მხოლოდ 30 აპრილის შემდეგ თუ განვიხილავ, მანამდე კი საქართველოში უნდა ჩავიდეთ.

ხორვატული პრესის ცნობით, გერმანული „ჰამბურგისა“ და „ლორტმუნდის“ გარდა, ცნობილი სპეციალისტით ავსტრიული „ზალცბურგი“ და თითო-თითო რუსულ-უკრაინული კლუბიცაა დაინტერესებული.

თუმცა, როგორც ვთქვით, ივანკოვიჩი საქართველოს ნაკრებიდან იწყებს.

ილია ნანობაძე

# უფროსის მედალი უფროსს



თბილისის „დინამოს“ მწვრთნელი დუშან უპრინი თავის სამშობლოში კიდევ ერთხელ აღიარეს და დააფასეს.

გუშინ ჩეხეთის ფეხბურთის ფედერაციამ თბილისელთა თავკაცი უეფას ვიცე-პრეზიდენტის, ვაცლავ ირას სახელობის პრემიით დააჯილდოვა. დუშან უპრინის გუნდს ახლა მნიშვნელოვანი მატჩები აქვს და, ცხადია, ის პრალაში არ იმყოფებოდა. მას სურდა, ჯილდო მის ვაჟს, უმცროს დუშან ჩაებარეზინა, მაგრამ ისიც მოუცლელი გახლდათ, მისი „ტიმიშოარა“ „სტიასუნსთან“ თამაშობდა და რუმინეთიდან შინ ჩასვლა ვერც უმცროსმა უპრინმა მოახერხა.

საბოლოოდ კი, უფროსი დუშან უპრინის მედალი და საპატიო სიგელი ჩეხეთის ფედერაციამ მის შვილიშვილს გადასცა, რომელმაც ბაბუას ჯილდო თბილისში გამოუგზავნა.

ჩვენც გილოცავთ, ბატონო უპრინ!

კობა ინასარიძე

# ოთხთავე ნაკრები უჩა უბულავა: კანდიდატებთან მოლაპარაკებები მალე დაიწყება

„ნაკრების მწვრთნელობის ოთხი კანდიდატი გვყავს და მათ გვარებს სამშაბათ-ოთხშაბათს შეიტყობთ“ — გვიტხრა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უბულავამ.

სიახლე თითქოს არაფერია, თუმცა, როგორც შევიტყვეთ, მათ შორის არ არიან ფრანგი ჟაკ სანტინი და თურქი შენოლ გიუნეში. სანტინი იმიტომ, რომ მან ათი დღე ითხოვა მოსაფიქრებლად — მართალია, ის მაინც რჩება ერთ-ერთ კანდიდატად, თუმცა ნაკლებსავარაუდოდ...



მალე დაიწყება მოლაპარაკებები

— როდის დაიწყება მოლაპარაკებები სიაში ჩამოწერილ მწვრთნელებთან?

— მომავალი კვირიდან. ამ დღეებში სხვა არაფერი ხდება, არც თბილისში ჩამოსვლას აპირებს რომელიმე კანდიდატი.

— და შეიძლება, მომავალ კვირაში ჩამოვიდეს რომელიმე?

— დიახ. ეგაა, რთული პერიოდია, ახლა ევროპის წამყვან ჩემპიონატებში სეზონი მთავრდება და რამდენიმე მწვრთნელმა დრო ითხოვა, ზოგმა იმიტომაც შეიკავა თავი, რომ ევროპის ჩემპიონატს ელის.

— რამდენი კანდიდატია დღესდღეობით?

— ოთხი. მათგან სამი ამჟამად უშუშევარია, ერთს კი კონტრაქტი მალე უმთავრდება. მათ სახელ-გვარებს ვერ ვერ ვიტყვი, თვითონ ითხოვენ ასე.

— ამ ოთხს შორის ჟაკ სანტინი თუ არის?

— არა. მან დრო ითხოვა მოსაფიქრებლად, ამიტომაც სანამ პასუხს გვეტყვის, სხვა მწვრთნელებს შევხვდებით. სანტინი, ასე ვთქვათ, მეზუთე კანდიდატია, როგორც ვიცი, მას სხვა ქვეყნის ნაკრებიდანაც აქვს შეთავაზება.

— აღწერ შენოლ გიუნეშის ვარიანტზეც ითქვას. მას არ დაკავშირებინებარ?

— არა. გიუნეში სიაში არ არის.

— თემურ ქეცბაიას როდის უნდა შეხვდეთ? მისი მთავარ მწვრთნელად დანიშნა გამოირიცხულია?

— ქეცბაიას აუცილებლად შეხვდებით და მასთან ნაკრებში მუშაობის ყველა მიმართულებაზე ვისაუბრებთ. ქეცბაიას „ანორთოსისმა“ ჩემპიონთა ლიგის ვეგუფურ ეტაპზე მოსახვედრად უნდა იბრძოლოს, ამდენად, ეს ცოტა ხელის შემშლელია ჩვენთვის.

— რამდენად დიდია შანსი, მაისის ამხანაგურ მატჩებამდე ნაკრების ახალი მწვრთნელი დანიშნული იყოს?

— ალბათ, მოვასწრებთ. ვეცდებით, რომ 5-10 მაისს ნაკრებს მწვრთნელი უკვე ჰყავდეს. ორი ამხანაგური თამაშია მაისის ბოლოს და, ბუნებრივია, გვინდა, რომ ეს თამაშები მომავალ მწვრთნელს არ გაუცდეს.

— ერთიც, ფედერაციის აღმასკომიდან დავით სილაგაძე წავიდა. როდის გახდება ცნობილი, ვინ დაიკავებს მის ადგილს?

— ეს საკითხი აღმასკომის უახლოეს სხდომაზე ვაირკვევთ. ვისაც ექნება სურვილი და პროცედურებს დაიცავს, მის კანდიდატურას განვიხილავთ. სავარაუდოდ, სხდომა მაისის დასაწყისში გაიმართება.

ილია ნანობაძე

# დინამო ვეგვერდი ისევ დაქოქა

თბილისის „დინამოს“ ვებგვერდი თვეზე მეტი არ მუშაობდა და ახლაც განახლდა. გუშინ „დინამო“ — „მესხეთის“ მატჩის ონლაინ-რეპორტაჟიც იყო ვებგვერდზე და იმედია, საქართველოს ყველაზე ტიტულოვან კლუბს მსგავსი პრობლემები აღარ ექნება.

# საქართველოს ჩემპიონატი მეორე ლიგა

ალმონაველი ზონა

21-ე ტური

სიონი 2 3:0 ოლიმპი 3  
სამგორი 2:1 ჰერეთი  
ძიზიძი 5:1 ალაზანი  
გაუდი 1:5 ალაზანი  
კახეთი 2 5:2 ბახტრიონი  
ზოთაძე 2:2 ბარბაქ

ქიზიყი 20 16 2 2 71:6 50  
ალგეთი 20 14 5 1 46:15 47  
ზოთაძე 21 14 3 4 50:18 45  
სიონი 2 20 13 3 4 50:19 42  
ჰერეთი 21 12 4 5 44:17 40  
სამგორი 20 8 4 8 37:29 28  
გარეჯი 20 7 7 6 35:23 28  
დურუჯი 20 8 0 12 31:44 24  
ალაზანი 20 7 3 10 29:35 24  
ოლიმპი 3 21 6 4 11 32:48 22  
კახეთი 2 21 4 5 12 28:45 17  
მაუდი 20 2 1 17 19:78 7  
ბახტრიონი 20 0 1 19 13:98 1

ცენტრალური ზონა

გამოტოვებული მატჩი ნორჩი დინამო 2:1 აწყური

21-ე ტური

ორგანი 3:1 საბარბაქი 2  
მირანი 2 4:1 გაგრა 2  
35-ე სკოლა 1:2 ნორჩი დინამო  
ლოკომოტივი 2 1:0 დუშეთი  
საბარბაქი 0:2 ამერი 3  
აწყური — ზორჯომი 2

არ შედგა პოლიციის გამოუცხადებლობის გამო

ნორჩი დინამო 21 18 2 1 59:14 56  
ორგანი 20 16 2 2 47:13 50  
საბარბაქი 2 (კ) 21 14 2 5 49:25 44  
ამერი 3 20 11 6 3 37:11 39  
ლოკომოტივი 2 21 9 4 8 32:30 31  
35-ე სკოლა 20 8 2 10 43:41 26  
საბარბაქი (თბ) 20 7 3 10 25:29 24  
ბორჯომი 2 19 7 3 9 27:34 24  
გაგრა 2 20 6 4 10 25:32 22  
მირანი 2 21 5 4 12 25:50 19  
დუშეთი 20 4 5 11 23:42 17  
ლიახვი 20 3 1 16 18:64 10  
აწყური 19 3 0 16 20:51 9

პირველი ღრის მატჩში მერანი 2 — ბორჯომი 2 ორივე გუნდს ჩათვლილი აქვს 0:3 ნაკება

დასავლეთი ზონა

მე-18 ტური

მირანი 2 (მ) 2:0 მირცხალი  
ივანია XXI 0:2 გურია  
გაბარბაქი 2 0:0 სპური  
მარგვეთი 2:5 ბაია  
იზირეთი 0:1 გაგრა 3  
ტორპედო 2 1:1 ბათუმი 2

ბაია 17 13 3 1 41:16 42  
გურია 18 12 5 1 33:12 41  
მერანი 2 (მ) 18 10 5 3 35:20 35  
გაგრა 3 18 7 4 7 25:24 25  
სქური 18 7 4 7 26:20 25  
ივანია XXI 17 6 4 7 17:23 22  
მარგვეთი 18 6 4 8 34:37 22  
მალაროელი 2 18 5 5 8 19:27 20  
ბათუმი 2 18 5 2 11 19:38 17  
იმერეთი 18 4 4 10 18:25 16  
მერცხალი 18 3 6 9 14:26 15  
ტორპედო 2 18 2 8 8 12:25 14

პურამ დურულაშვილი ფოტო







ლივერპული XI ჩაღსი

10 კუიტი (43), 11 რიისე (90სკ.)  
ლივერპული: რინა, არბელია, კარაგერი, შვრტიელი, ფ. აურელიო (რიისე 62),  
მასკერანო, ხაბი ალონსო, კუიტი, ჯერარდი, ბაბელი (ბენაიუნი 76), ფ. ტორესი  
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი  
ჩაღსი: ჩეხი, პ. ფერერი, რ. კარვალუ, ტერი, ე. კოული, მაკელლენ, ბალაჟი (ანელკა  
86), ლამპარდი, ჯ. კოული (კალუ 63), მალუდა, დროგბა  
მწვრთნელი: აგრამ გრანტი  
გაფრთხილება: ტერი (90)  
მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)  
45 000 მაყურებელი

რაფაელ ბენიტესი მსაჯზე:  
მოგვართ მს კაცი!

ამათჳამ ნათქვამი, შეცვლა გამოიციენსო. ტრავმირებული აურელიოს მაგივრად ბენიტესმა რიისე შეუშვა, წუთის შემდეგ კი აგრამ გრანტმა კოულის ადგილზე — კალუ.  
ცვლილებებმა მატჩის ბოლოს გამართლა, კალუს პასით რიისემ საკუთარ კარში თავით, ნახტომში ისეთი კოხტა გოლი გაიტანა, რომ რინასაც მოეწონა და მოგერიება არ უცდა.  
რაფაელ ბენიტესი მსაჯზე იყო გაბრაზებული, „ლივერპულის“ წინააღმდეგ უსტკვენდაო. კონრად პლაუცი ჯგუფურ ეტაპზე „ლივერპული“ — „მარსელის“ (0:1) მატჩის არბიტრიც გახლდათ და ესპანელმა მწვრთნელმა მაშინაც გააკრიტიკა. „პლაუცი თამაშის მიწურულს კუთხურებს და ჯარიმებს სულ „ჩელსის“ სასარგებლოდ ნიშნავდა. ერთი წუთი პირველი ტაიმის ბოლოს დაამატა, მეორეს კი ოთხი, რაც აშკარად გადამეტებული მიწვენა. საკუთარ კარში რიისეს გოლს მსაჯს ვერ დავაბრალებთ, რადგან მოსაგერიებლად უხერხული, ას-

ლეთილი ბურთი იყო, მაგრამ დრო ხომ პლაუცმა გაწელა? თან ერთ ეპიზოდში საჯარიმოში ეშლი კოულიმა კუიტს ორივე ხელი ჰკრა და ესეც ვერ დაინახა. დაახლოებით ისევე გვიმსაჯა, როგორც გასულ შემოდგომაზე „მარსელთან“.  
ბოლო წამებზე ასეთი გოლის გაშვება ძალიან დასანანია. გასახდელში ხმას ვერავინ იღებდა, მაგრამ მალე უნდა დავივიწყოთ, რაც მოხდა და „სტემფორდ ბრიჯზე“ საბრძოლველად მოვემზადოთ“.  
აქვე ვთქვათ, რომ ბენიტესის ხელში „ლივერპულს“ სტუმრად „ჩელსისთან“ გოლი არ გაუტანია და თუ ტრადიცია არ დაირღვა, ფინალში „ლურჯები“ გაკლენ.  
აგრამ გრანტი მაურინიუსავით „ერთადერთი და განსაკუთრებული“ არაა, როგორც პორტუგალიელმა საკუთარ თავს უწოდა ინგლისში ჩასვლისთანავე, მაგრამ იბლიანი კი ყოფილა.  
„ბოლო რამდენიმე მატჩში თამაშის მიწურულს გაუშვით გოლები, თუმც ახლა იბბალი ჩვენს მხარეს იყო და ფრესაც ვიმსახურებდით.



აგრამ გრანტმა პატრონი  
მონღოლეთში დააბრუნა

ვიმედოვნებ, საპასუხო მატჩის შემდეგ მექნება იმის საბაბი, რომ რიისეს გოლს ამ ორმატჩიან დუელში გადამწყვეტი ვუწოდო. ნახევარფინალში ბევრი გოლი არ გადის და დღესაც ორივე გუნდმა ცოტა მომენტი შექმნა. „ენფილდზე“ თამაში იოლი არ იყო, მაგრამ არც „ლივერპულს“ ელის გასეირნება „სტემფორდ ბრიჯზე“.  
ჩვენც საუცხოო გულშემატკივრები გვყავს. რა თქმა უნდა, ძალიან გვსურს ფინალში ვასვლა და მოსკოვში თამაში, რაც რომან აბრამოვიჩისთვის განსაკუთრებულად სასიამოვნო იქნება, თუმც ფინალი მონ-

ღოლეთში რომ იყოს, „ჩელსის“ პატრონი იქაც სიხარულით გამოგვეყვება“ — ხუმრობა გაურია გრანტმა.  
„ლივერპულის“ მცველმა ჯეიმი კარაგერმა თანაგუნდელებს პასუხისმგებლობის განაწილება მოსთხოვა, რიისეს ხელები არავითარ შემთხვევაში არ უნდა შევაწმინდოთ.  
„მსგავსი შეცდომა ალბათ ბევრ ჩვენთაგანს მოსვლია და ამისგან დაზღვეული არავინაა. ნებისმიერი შეიძლება მდგარიყო რიისეს ადგილზე. მთელი გუნდის ბრალია, რომ ბოლო წუთზე მეტოქეს ბურთი კუთხურის ზაზამდე მივატანინეთ და

საჯარიმოში თავისუფლად ჩავაწოდებინეთ“ — თქვა ლივერპულელმა.  
ფრენკ ლამპარდი თავის ნაჭუჭში ვერ იყო, რადგან ავადმყოფი დედა ჰყავს მისახედი და დაბნეული თამაშობდა, მაგრამ მშობელი უკეთესადაა და ბიჭიც ნელ-ნელა გონს მოვა.  
„სამი დღის წინ არ ვიცოდი, ვითამაშებდი თუ არა, მაგრამ ექიმმა კარგი ამბავი მითხრა და კვირა საღამოს ბაზაზე მივედი. ჯერ ისევ გონებაგაფანტული და სათანადო ფორმიდან შორს ვარ, თუმც საპასუხო მატჩისთვის სრულად მზად ვიქნები“ — განაცხადა ლამპარდმა.  
მათა ხუციფხილი

უეფას თასი 2007-2008. ნახევარფინალი. პირველი მატჩი. დღეს  
მს რა ნახა ლუკას პოდოლსკიმ

**ბაიერნი — ზენიტი**  
სამარბაულო შემადგენლობა  
ბაიერნი: კანი; ლელი, დემიკელისი, ლუსიო, ლამი; შვაინშტაიგერი, ვან ბომელი, ზე რობერტო, რიბერი; კლოზე, პოდოლსკი  
მწვრთნელი: ოტმარ შიფფელდი  
ზენიტი: მალაფევი; ანუკოვი, შიროკოვი, კრიჟანატი, შირლი; დენისოვი, ტიმოშუკო, ზირიანოვი; არშავინი, პოგრებნიაკი, ფაიზულინი  
მწვრთნელი: დიკ ადვოკატი  
მსაჯი: ლუბომ მიხელი (სლოვაკეთი)  
**რაინჰარსი — ფიორენტინა**  
სამარბაულო შემადგენლობა  
რაინჰარსი: ალექსანდერი; უიტეკერი, ვიორი, პაპაი, კუელიარი; დევისი, პემდანი, დეილი, ბუფელი; კუზინი, დარშევილი  
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი  
ფიორენტინა: ფრეი; იორგენსენი, გამბერიანი, კროლდორუბი, გობი; კუშმანოვიჩი, ლივერანი, მონტოლივი; სანტანა; მუტუ, პაცინი  
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი  
მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

ზენიტელი მეგობრები

ზენიტელი მეგობრები პაველ პოგრებნიაკისთვის „ბაიერნთან“ მატჩი გამოცდაა: „ძალიან მიხარია, რომ „ალიანც-არენაზე“ ვითამაშებ. სწორედ ასეთ მეტოქეებთან გამოჩნდება, არის თუ არა ჩვენი გუნდის ღირსეული ვეროპულთან მიახლოებული“.  
„ბაიერნმა“ ექვსჯერ უმასპინძლა რუსულ კლუბებს, სამი მატჩი მოიგო, ორი ფრედ დაასრულა და ერთხელ დამარცხდა. „ზენიტი“ ოთხჯერ ესტუმრა გერმანიას და სანკტპეტერბურგელთა მონაგარი ასეთია — ერთი გამარჯვება, ამდენივე წაგება და ორი ფრე.  
ალსანიშნავია, რომ ნევისპირელები ჯგუფურ ეტაპზე „ნიუნბერგს“ შეხვდნენ, მეოთხედფინალში — „ლივერპულს“ და ახლა მესამედ მოუწევთ ბუნდესლიგელთან ჭიდაობა.  
გლაზგოს „რეინჯერსს“ ნახევარმცველები, ბარი ფერგიუსონი და კევინ ტომპსონი დისკვალიფიკაციის გამო დააკლდებიან. ტრავმირებული არიან მეკარე მაკგრეგორი და ფორვარდები ლი მაკკალოხი და დამარკუს ბისლი. მათ კვირას „სენტ ჯონსტონთან“ სათასო მატჩში დაშვებული სტივ ნეისითი და კრის ბერკიტ შეუერთდნენ, რომელთა თამაშიც დიდად საეჭვოა. „რეინჯერსმა“ „სენტ ჯონსტონს“ 120 წუთში ვერ აჯობა (1:1) და პენალტებში 4:3 დაამარცხა.  
„ფიორენტინას“ კი მცველი ტომას უიფალუში ვერ დაეხმარება, რადგან „პალერმოსთან“ მოგებულ მატჩში (1:0) დაშავდა და ერთკვირიანი მკურნალობა გამოუწერეს.  
„რეინჯერსი“ და „ფიორენტინა“ ერთადერთი 47 წლის წინ შეხვედრიან ერთმანეთს. თასების მფლობელთა თასის ორმატჩიან ფინალში „იებმა“ მეტოქე შინ 2:0, სტუმრად კი 2:1 დაამარცხეს. ეს იყო ერთდერთი ორმატჩიანი ფინალი ამ თასის ისტორიაში.  
„ჩაფრებმა“ იტალიურ კლუბებს ათჯერ უმასპინძლეს, ხუთჯერ აჯობეს, ორჯერ დაუზავდნენ და დანარჩენი კი წააგეს. „ფიორენტინასთვის“ ეს მესამე სტუმრობა იქნება შოტლანდიაში. ერთხელ (ზემოხსენებულ ფინალურ მატჩში) იმარჯვეს, მერე კი ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში (1970) „სელტიკთან“ გლაზგოში 0:3 დაამარცხდნენ.  
მათა ხუციფხილი














Table with multiple columns (1, X, 2, 1-X, 1-2, X-2) and rows of data. The table is divided into several sections: ავსტრია, I დივიზიონი; შვეიცარია, სუპერლიგა; იტალია, სერია A; იტალია, სერია B; ესპანეთი, I დივიზიონი; ესპანეთი, II დივიზიონი; საფრანგეთი, I დივიზიონი. Each section lists match times, scores, and team names.











# ჩემპიონთა ლიგის მიმოსილვას წარმოგიდგინთ სლოტ პოკერ კლუბი VEGA

## ჩემპიონთა ლიგა 2007-2008 ნახევარფინალი. პირველი მატჩი. ოსტია

ბარსელონა 0:0 მანჩესტერი

რონალდუ ვერ გაიტანა პენალტი (3, ძელი)

ბარსელონა: ვალდესი, ძამბროტა, მარკესი, მილიტო, აბიდალი, ხავი, ტურე, დეკუ (ანრი 77), მესი (კრეჩიკი 62), ეტო, ინისტა

მწვრთნელი: ფრანც რაიკარდი

მანჩესტერი: ვან დერ სარი, ჰარგრეისი, ფერდინანდი, ბრაუნი, ევრა, რონალდუ, კარეკი, სქოულზი, პარკი, რუნი (ნანი 76), ტევესი (გიგზი 85)

მწვრთელი: ალექს ფერგიუსონი

გაფრთხილება: მარკესი (44), ჰარგრეისი (73)

მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

98 000 მაყურებელი

# საალბის ეს ნანახი აქვს



კრიშტიანუ რონალდუს აცილებულმა პენალტმა კატალონიელებს შანსი დაუტოვა



კარლოს ტევესი „ბარსელონას“ კარს იშვიათად ეშუქებოდა

ერთი რისე ამ მატჩშიც რომ ყოფილიყო, უფრო საინტერესო და სასრული გამოვიდოდა.

ალექს ფერგიუსონის ხელში „მანჩესტერთან“ ასეთი ცალკარა ალბათ აქამდე არავის უთმაშია.

„ბარსელონამ“ 21-ჯერ დაარტყა კარისკენ, მაგრამ, რაც გამოვიდა, ოქმიდანაც ჩანს.

სამწუხარო კი ისაა, რომ ასეთი გუნდების მატჩი უგოლოდ დასრულდა.

„რომას“ მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმ „მანჩესტერთან“ საშინაო წაგებული შეხვედრის შემდეგ თქვა, იტალიელებს კატენაროს თამაშს გვაბრალევენ და თუ ასეა, მაშინ „მანჩესტერი“ ყველაზე უფრო იტალიური გუნდიაო.

სპალეტი უკმაყოფილო იყო იმით, რომ შემტევი ფეხბურთით ცნობილი მისი მეტოქე დაცვაში გამოიკეტა.

ალექს ფერგიუსონი ეტყობა, სიბერეში უფრო პრემატული გახდა — ძალიან უნდა ფინალში გასვლა და ალბათ ამიტომაც ფრთხილობს.

„მანჩესტერი“ წუხელ, თუ არ ჩავთვლით დასაწყისს, საკუთარ ნახევარზე კონტად განლაგდა და ტევესი, რომელსაც მეტოქის საჯარიმოში უნდა ერბინა, ეტოლოს და მესის ცენტრალური მცველივით დასდევდა.

კრიშტიანუ რონალდუ კი გაფუჭებული პენალტმა ისე წაანდინა, რომ მთელი მატჩი ხელების პრანჭვაში გაატარა ამ სეზონში პენალტების უბა-

დლო შემსრულებელს „კამ ნოუზე“ მარჯვენა ფეხი გაუმზოდა და ბურთი ძელს გაარტყა, როცა ვალდესი მეორე მხარეს გადასტა.

მერე იყო ერთი ეპიზოდი, როცა რონალდუმ მეტოქეს პასი ჩაუჭრა და მეკარესთან პირისპირ გადიოდა, თუმც მარკესი ისე აეტმანა, რომ ფეხისგამოუდებლად წააქცია და მსაჯმაც წაუყრუა.


ლიონელ მესიმ თავისებურები აკეთა, მაგრამ ისეთ ფორმაში აღარაა, ტრავმამდე რომ იყო და მის-

მა შემცვლელმა კრეჩინამ შეცვლილზე მეტი ვერ გააკეთა.

ცოტაც ასევე შეცვლაზე შესულმა ანრიმ გაამწვავა და ორჯერ გაასხენა კიდეც ვან დერ საარს საკუთარი ფეხის ძალა, მაგრამ...

მოკლედ, საამსეზონო ლიგაში აქამდე ხუთივე საშინაო მატჩის მომგებმა „ბარსელონამ“ მეექვსეში გამარჯვება ვერ იხეიმა, ხოლო „მანჩესტერმა“ სტუმრად წაუგებელი სერია ექვსამდე გაზარდა.

გაზა სუციფილი



ლიონელ მესიმ „მანჩესტერის“ მცველები დააწიოცა

### ფეხბურთი

**ჩემპიონთა ლიგა**  
გადადებული მატჩი  
30 დეკემბერი 4:2 ლონდონი

### ფეხბურთი

**ალსვენსკა. VII ტური**  
კალმარნი 4:2 ჰელსინგბორგნი  
ჰამარბი 0:0 ელფსბორგნი

### ფეხბურთი

**I დივიზიონი. XXXV ტური**  
სტირლინგი 3:1 სანტ ჯოანსტონი

### ფეხბურთი

**თასის ნახევარფინალი**  
საბასუსნი მატჩები  
ზაბრეზი 2:3 დინამო (ქ)  
ჰაიდუბი 4:0 ვარტაქსი (ქ)

### ფეხბურთი

**I დივიზიონი. IV ტური**  
სიონგნალი 2:2 მოსი

### ფეხბურთი

**სუპერლიგა**  
კლვი ოფი. I ტური  
პრისი 1:1 პანათინაიკოსი  
აპა 5:0 პანიონიოსი

### ფეხბურთი

**II კლასი. XXXV ტური**  
კორტრაიპი 1:0 ტუბაქი  
ლინასი 2:0 სანტ ჟილი  
ნაგური 1:4 ტინენი  
ოუდ ევირლე 5:0 გეილი  
ტურნა 1:0 დინცე  
ვირტონი 2:2 ვიგორი  
გაასლანდი 3:3 ანტვირანი  
ოლინგი — გევირანი გადილო

### ფეხბურთი

**თასის ნახევარფინალი**  
საბასუსნი მატჩები  
არტმედი 1:0 შილინა (ქ)

### ფეხბურთი

**სუპერლიგა. XXVI ტური**  
ლიუნგბიუ 2:2 ბრონფიუ  
ოდასა 1:0 ვიგორი  
მიდტიულანდი 1:1 ჰოსანსი  
პირველი დივიზიონი  
გადადებული მატჩი  
ფა ორასი 1:1 კიოვა

### ფეხბურთი

**თასის ნახევარფინალი. I მატჩი**  
ვისლა 0:0 ბროცლინი

**სარბიელი**  
საორბული გაზეთი  
გამოიცემა 1990 წლის  
28 დეკემბერიდან  
გამოდის ორგაბათს,  
სამგაბათს, ოთხგაბათს,  
სუთგაბათს,  
პარასკეპს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ჟორჯიანი  
დირექტორი გიორგი ოქროშვილი  
მთავარი რედაქტორი გიორგი ღარიბაიანი  
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალვაშვილი  
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მუსიაშვილი  
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ  
ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ყორყორიანი  
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი  
ვიკტორია ბახარაძე  
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი,  
ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაქიძე,  
გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხოშორიკი  
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი  
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრაიული,  
ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი  
ფოტორეპორტორები: გურამ დოღენაშვილი, ბადრი კვიციანი  
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი  
კომპიუტერული ცენტრი: ლილა ბეგლარივა, ლიანა ბესელია,  
ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი,  
რუსუდანი ერისთავი, თამარ ქიქელიძე

**რედაქციის მისამართი:**  
თბილისი, ალექსანდრე  
ყაზაგის გამზირი 42, II  
კორპუსი, IV სართული.  
საფოსტო მისამართი:  
თბილისი — 79, საფოსტო  
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29  
ელექტრონული ფოსტა  
sarbili@gol.ge  
ელექტრონული ვერსია  
http://www.sarbili.com.ge